გაზეთის ფასი:

ყველგან გაგზავნით ორი მანეთი, უგზავნელად — ექვსი აბაზი, ერთი ნომრის ფასი ერთი შაური.

# გუთნის-დედა

სამეურნეო გაზეთი.

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

Въ Тифлисѣ, въ типографіи Меликова и К°. Ганской улицѣ въ домѣ Аматуни.

№ 17, XVII 26 ნოემბერს 1873 წ.


შინაარსი:

სასოფლო წერილები. საყველო ამხანაგობაზედ ჩვენში. — პროტოკოლები კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. — ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი თ. რაფ. ერისთავისგან.

## სასოფლო წერილები

წერილი მეოთხე.

(დასასრული).

წინა წერილში მოხსენებულთ ჩვენი გაჭირვების მიზეზთა უნდა დაუმატოთ კიდევ ისა, რომ რამდენიც გვიახლოვდება ევროპიული ცივილიზაცია, იმდენი უფრო ჰმოქმედებს ის ჩვენზედ როგორც დამჩაგრავი მოვლინება. თქმა აღარ უნდა, ამ ცივილიზაციისა, რომ კარგი მხარე ჰმოქმედებდეს ჩვენზედ და შემოდიოდეს ჩვენში იმისი სიკეთე, ჩვენ ის კი ვერ დაგვჩაგრავდა, დიდს წარმატებას მოგვცემდა, რადგან ჩვენი გონების გარემოება არ არის უცხო თავის ფიზიოლოგიური წყობილებით ამ მოვლინებათათვის. მაგრამ გვჩაგრავს ჩვენ ისა, რომ ამ ცივილიზაციის ჩვენამდის მოდის და ჩვენ გვეცხოვა მხოლოდ ცუდი მხარენი, რადგან ცუდი უფრო ადვილი მისაღებია და ამასთან პირველ ჟამად სასიამოვნოც, ვიდრე კარგი. სხვათა შორის ამ ევროპის ცივილიზაციის ცუდი მხარის მიბაძვამ ჩვენში გააღვიძა მრავალი მოთხოვნილებანი, მეტადრე მაღალს და შუათანა წოდებაებში, საიდანც ედება დაბალს საზოგადოებასაც; მაგრამ ეს მოთხოვნილებანი ვერა ჰმაყოფილდებიან ჩვენის უშვერებისა და უმეცრებისაგამო. მოთხოვნილებანი თან და თან ჰმატულობენ, და სწავლა ჩვენი არის იმავე გარემოებაში, რაშიაც იყო მამა თარგამოსის დროს. ყველა, რაც მალი და ღონეა იწვევს, რომ დიდ მდიდრულს ცხოვრებაში და კოხტაპრუწობაში უკან არავის ჩამორჩეს, და საზრდოს შოვნის სახსარი კი არავინ იცის და ვერცარავისაგანა სწავლობს. ამას ყველას მოსდევს მარად ვალები და ცარცვა ადგილ მამულისა. მე დავეჩვიე კალიასკებში თუ სხვა ეკიპაჟებში ჯდომას, ჩაისა და ყავას, ვერცხლის იარაღს და ხავერდისა და ფარჩის ტანისამოსს, ბზისა და კაკლის მებელს ხავერდსა და ზარბაბ გადაკრულს, დიდრონ მრავალ ოთახიან სახლებს, მრავალ მსახურებს და ფრანციცულს პოვრებს და ფრანციცულს საჭმელებს და კი აღარ მამდევს მათდა შესავსებლათ ხუკი. მაგრამ უამათოთ ცხოვრება აღარ შემიძლიან, ეს ცხოვრება მაქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი. მამაკლოდა ეს ცხოვრება, — გარდა ამისა, რომ თვითონაც აღარ ვარგივარ უამისოთ, — ტოლ-ამხანაგნი ხმას აღარ მცემენ, ახლოს აღარ მეკარებიან, მიყურებენ თაკილით, თითქო ერთი რამ ცუდი საქმე ჩამედინოს. ჩემი ქვეით საზოგადოებაც მაღლათაც არ მაგდებს, თითქო ნიშნს მიგებს, რომ მე აღარ შემიძლიან წინანდელი ცხოვრება, ისიც ამაყათ დამხსავის თავსა და თაკილით მიყურებს. რომ ამ გარემოებას, როგორც არის დღითი დავაღწიო თავი, უჭერ უჯეროთ, უწესოთ, უცოდვნელად, შეუბრალებლათ მამულებსა და, ვინც ამ მამულებს ჰსაჭიროებენ, იმათ. ამამაქვს ამ მამულებიდამ, რაც შემიძლიან, და სამაგიეროს აღარ უბრუნებ, რადგან არ მესმის, რომ რაც ამოდის მიწიდამ, თუ არ დაუბრუნე, წახდება მამული; ამასთან, თუ მაქვს სადმე ტყე, ვეიდი, ვზესავ ყოვლად შეუწყალათ და მოუსაზრებლათ. სადაც უწინ იყო დაბურული და გაუტანებელი ტყეები, დღეს იქ არიან ცარიელი უნაყოფო გატიტვლებული ველები. აი ამგვარათ გვჩაგრავს ჯერობით და ამგვარს მდგომარეობას ჰბადებს ჩვენი მოუსაზრებელი წაბაძვა ევროპის ცივილიზაციის ცუდი მხარისა.

მართლაცა და გადავავლოთ ახლა თვალი, სადამდის მიაღწევინა ამ ჩვენმა გაუგებრობამ ჩვენს ტყეებს. რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი ცხადლივ ატყობს კაცი, რომ ტყეები იქცევიან ცარიელ ველებათ. რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი მცირდებიან წყარო მდინარენი და ნაკადულნი. რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი გვალვა და სხვა სასტიკი ბუნების მოვლინებანი ამრავლებენ მოუსავლობას.

რა არის მიზეზი ამგვარის ტყის უწყალოთ განადგურებისა?

გარდა ზევით მოხსენებული ჩვენი გაჭირვებისა და უშვერებისა, უფრო მომეტებული ჩვენი შენობანი. ჩვენებურს შენობაზედ შეშის მტერი და შთამთქმელი ძნელი წარმოსადგენია რამე და სადმე, ქართლი ხომ არის და არის, და კახეთი და იმერეთი კიდევ ერთი ორათ. ქართლში ეს მაინც არის, რომ შენობა ხისა მცირია, კახეთსა და იმერეთში შენობაებიც სულ ხისაა, რომელიც ჰნთქავს დიდს ძალს ტყეს. ამას დაურთოთ ახლა ისა, რომ არც ქართლსა, არც კახეთსა და არც ლიხს იქითა მხარეს არა არის სრულიად ფეჩი, მაშინ მივხვდებით, რა მიზეზიც არის ასე უწყალოთ ტყის ჩანთქმისა. ჩვენებური შენობა არის უფანჯრო, ერდოიანი, რომლისგამო ზამთარ ზაფხულ თუ კარი სულ-ღია არა გაქვს, ვერას დაინახავ. ბანი, ან ერდო არას დროს ვერ დაიხურება, რათგან კომლს ასასვლელი გზა შეეკვრის და სახლს რამდენიც გინდა კარი გაუღო, მაინც შუა ადგილას ვერას დაინახავ. ამისგამო უნდა ნიადაგ ჩაუქრობლივ თითქმის საკირის მსგავსი ცეცხლი გენთოს, რომ მცირეც არის ჰგრძნობდე სითბოს, თორემ სახლი იქცევა საყინულედ. და ისეც არის. დღე და ღამ ამ ჩვენს შენობაებში აგიზგიზნიან საკირეები და იწვის აუარებელი შეშა. თქმა აღარ უნდა, რომ ამ ხალხის გამრავლებასთან, ტყეები იჩეხებიან უწყალოთ, რომელიც ამ ათ ოცს წელიწადს საშოვნელადაც გაჭირდება თვით შენობაებისთვის და უწყლობა და ჰაერის უზომობა ხომ თავისას დაგვმართებს. ამ ტყეებს არა ჰყავს არც მმართველი, რომელიც წესიერათ იცავდეს ამათ და უგდებდეს ყურს მომავლისათვის, არც ჰყავს მზოგველი, რათგან უშვერებისგამო არ იციან მცხოვრებთა, რა მოსდევს ამ გვარ შეუწყალებლათ ტყის ჩეხვას და მოსპობას. მებატონენი არა ჰზოგვენ იმას, რათგან უჭირთ ცხოვრება, არა აქვთ ფული და არ იციან თავის მოთხოვნილებაების მოვლა, ამის გამო თითო ოროლა გროშათ აჩეხინებენ და ანადგურებინებენ ტყეს. მეორეს მხრივ, რომ არ გააჩეხინონ კიდეც, რა უნდა ჰქნან, როდესაც ჰსაჭიროებს ხალხი შეშას და ვერ იცხოვრებს უშეშოთ?!

რაც მდგომარეობაში ვხედავთ ტყეებს, იმავე მდგომარეობაში არიან სხვა მამულები. გარდა საქონლის პატივისა, ჩვენმა ხალხმა არა ნივთისა არ იცის პატივათ ხმარება. ამისგამო მრავალი საგანგებო პატივნი როგორც, მაგალითათ, ადამიანის განავალი, ძვლები, ნაგავი, თხის და ცხვრის ფუნი, ფრინვლის ფუნი, ნახადები არაყისა თუ ზეთისა თუ სხვისა, დამპალი ჩალა, ბზე, თივა და სხვა ამგვარები იკარგებიან სრულიად ამაოდ წყლებსა, სანაგვეებსა და ამგვარს ადგილებში არამცთუ ესენი, ზოგგან საქონლის პატივიც იკარგება ამაოთ და მეტადრე იმ ადგილებში, სადაც წვრილი მებატონის ნაყმევები არიან. ამ ნაყმევებთ არა აქვთ საკუთარი ნადელები, ჰხვნენ სხვის მამულებში, ამისგამო არცა აქვთ მიზეზი, რომ დააყარონ თავის საქონლის პატივი სხვის მამულს, რომელიც მეორისვე იქნება სხვას დარჩეს მოსახნავათ, ამისგამო იმას ურია ეს პატივი და უხდება ტყუილათ გარებზედ, რომლითაც პატივი პატივათ ხდება და სოფელს და თვით პატრონებს უყროლებს არემარეს, ახდენს ჰაერს და ამრავლებს სნეულებას. თქმა აღარ უნდა, რომ ამგვარს გარემოებას მოსდევს სრულიად მიწების მოღლა და კიდეც იღლებიან. სადაც მიწა ამ ერთი ორმოცი წლის წინათ დღიური ოც კოდს იძლეოდა, დღეს აღარ იძლევა ათს კოდს. რაც ხანი გადის, იმდენი ცხადლივ ეტყობა მოსავალს კლება და ხალხი კი თან და თან მრავლდება. ამ უპატიობის გარდა, ჩვენი მიწების გაღარიბებისათვის ისიც საკმაო იქნებოდა, რომ ჩვენი მოსავლისა კარგი წილი გადის სხვა ადგილებში და აღარ უბრუნდება ამ მიწებს. მაგრამ ჩვენ ამასაც არ ვაჯერებთ, და ვაკლებთ იმ პატივსაც, რისაც მიცემა ჩვენ ხელთ არის.

გადაავლეთ ახლა თვალი ჩვენს ხელოსნობას. გარდა ჩვენებური გუთნისა და გუთნის იარაღის გაკეთებისა, ურმისა და ურმის იარაღის გაკეთებისა, ჩვენმა სოფლელებმა არ იციან არავითარი ხელოსნობა. აქამდის იყვნენ ფეიქრები, მღებრები, ჭონები, მეჯარეები და სხვანი. ესენიც აღმოიკვეთნენ. ნიჩბისა, ფიწლისა, არნადებისა, სარცხლებისა, კევრებისა, ცხრილებისა, ცხავებისა, საცრების, გარცლებისა, კიდობნებისა, კასრებისა, თაბხებისა, ქვევრებისა, რუმბებისა, ტიკებისა, კუპრისა და სხვა ათასი ამგვარი წვრილმანი (სოფლის მეურნეობის საჭირო ნივთეულობის მკეთებლები სრულიად არ არიან ჩვენს სოფლებში და ესენი ყველანი ან უნდა შეიძინონ ოსთაგან, ბერძენთაგან, ქალაქ ადგილებში და თითო ოროლა ზემოელ იმერელთ და რაჭველთაგან, სადაც იცის მხოლოდ თითო ოროლა ხელობა. ლიხს იქითა მხარე კიდევ უფრო მწირია ამისთანა ხელოსნობაში გარდა საჩხერისა და რაჭისა. არამთუ ამისთანაებში თვით პირველი უსაჭიროესი არ იციან იქ. მაგალითათ სამეგრელოში არ იციან ერბოს გაკეთება და კარაქის ამოღება, არ იციან არაყის ხდა. (თუმცადღე ზარალი კი არ არის უარაყობა.) იქ რომ ფიცრული სახლი მოუნდეთ უნდა დაიბარონ რაჭველნი ან ზემოელი იმერლება, რომელნიც უფრო დახელოვნებულნი არიან სხვა ჩვენს ხალხს შორის ხელოსნობაში. არამ[illegible]ესები, ჩვენმა ხალხმა (გარდა მთის ხალხთა და მეგრელთა არ იცის ჩოხის ქსოვნა და ან უნდა მამასისხლათ უიდულობდნენ ქალაქ ადგილას, ან ოსთა და სხვა მთის ხალხთაგან. სხვა რიგი იარაღების გაკეთება, რომელნიც თან და თან გვჭირდებიან ჩვენ, რამდენიც უფრო და უფრო იღვიძებს ჩვენი რომელიმე მოთხოვნილებანი და შემოვა სხვა რიგი ადგილ მამულის მართვა, ხომ სათქმელი არ არის და არცა ვინ უცხო ტომთაგანი გვყავს ამისი მკეთებელი და მსწავლებელი.

კაცი, რომელთაც გული შესტკივოდათ ჩვენი ამგვარის მდგომარეობისთვის და რომელთაც ეყურებოდათ ეს ცუდი მხარე ჩვენი მეურნეობისა, დაიწყეს ცდა, რომ ჩვენ სოფლებში დაგეთებულიყო ხელოსნო სასწავლებლები, სადაც ჩვენი სოფლის კაცი მომზადებულიყო იმგვარ ხელოსნად, რომ შესძლებოდათ სამეურნეო იარაღის როგორც კეთება, ისე მართვა და დაკერებაც, რომ ამაზედ ჩვენს მეურ

ნეობას დაბრკოლებას არ მისცემოდა და არ დაგვჯდომოდა იარაღებისა სყიდვა მოტანა მამასახლისთა, რომ ამათის გაჩენით, ზარალი კი არა, სარგებლობა გვქონდა. მაგრამ ამგვარმა აზრმა ვერა ჰპოვა თანაგრძნობა ვერც საზოგადოებაში, რომელიც სრულიად მოუსვენრელია ჯერ თავის ნაწილის სარგებლობაზედ, და ვერც უმაღლეს ადგილას სხვა და სხვა მიზეზისაგამო. ამგვარი აზრი ეკუთვნოდა კონსტანტინე მამაცაშვილს, რომელიც წერითა თუ პირადის ქადაგებით შეჰქადაგებდა საზოგადოებას და მართებლობას. მაგრამ პასუხათ მიიღო განსვენებული «კავკაზის» რედაქტორის ბაბილიოვის უშვერი და ამაყი სტატია, რომლითაც იხსენიებდა უპატიურათ ამგვართა აზრთა და მოთხოვნილებათა. საზოგადოებამ ყურიც არ გაიბერტყა, თითქო ეს ჩვენ არ შეგვეხებაო.

აი ამგვარს გარემოებასა და მდგომარეობაში ჩვენი სასოფლო მეურნეობა. ყოველი ეს გარემოებანი თხოულობენ საძირკვლიანათ შეცვლას ჩვენი ცხოვრებისას, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა წავიდეს იმ გზაზედ, რომელიც მიანიშნებს ნაწილის ბედნიერებას ხალხს და ჩაუდგამს სულს ახალის ცხოვრებისას. ჩვენი ეკონომიური და გონებითი მდგომარეობა ისეა ერთმანერთზედ გადასლართული, რომ ორივეს ცვლილება ერთათ უნდა დაიწყოს. მართალია, რომ ჩააკვირდე გარეა ამ მოვლინებათა, ამ ჩვენს ცუდს გარემოებაში ბრალი უფრო სხვათა აქვთ, რომელთაც ჩვენთვის პირველადვე უნდა მიეცათ ცოდნა და ჩვენებისათ ღონე თავის პატრონობისა. მაგრამ ამაში არც ჩვენა ვართ უნაწილონი. რუსები იტყვიან: дитье не плачетъ, мать не разумѣетъ. თუ ჩვენ არ დავანახვებთ ჩვენს ნაკლებულებას, ჩვენს საჭიროებას, სხვანი ამას ძნელათ მიხვდებიან. მართალია, ესეც ძნელი საქმეა ზოგიერთა გარემოებისაგამო, მაგრამ, რაც შეიძლება ის მაინც უნდა გაგვემჟღავნებინა. მაგრამ ჩვენ არც ამაში მიგვიწვდა გაბედვა და მოხერხება. გარდა ამისა ჩვენა გვაქვს ამაში კიდევ ის ბრალი, რომ მეტათ შევეჩვიეთ სხვის ხელის შეცქერას და ამაში მივეცით ნება სხვათა, რომ გვაყურონ როგორც ალუცასა, რომელსაც, რასაც უბრძანებენ, ის უნდა შეასრულოს და ისე უნდა მოიქცეს; რომელსაც არა აქვს გაღვიძებული არავითარი საკუთარი მკვიდრი მოთხოვნილება და მოსაზრული საჭიროება. სანი გადის და ჩვენ უნდა დავანახოთ, რომ დიდი დაფიქრება და მეცადინეობა გვმართებს, რომ დავიცვათ ჩვენი საკუთარი ბუნების ნიშნები, ჩვენი საკუთარი ნიჭი და ჩვენი განსაკუთრებითი ხასიათები. ერთის სიტყვით ჩვენ უნდა დავისხოთ და შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ჩვენი თავის პატრონნი ვართ ჩვენა, რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვეცადნეთ, რომ მოუაროთ იმდენათ მაინც, რამდენათაც ამაში გვეხმარებიან ჩვენი გარემოებანი. იქ, სადაც ხალხი არის ნიადაგ სხვების ზრუნვის ქვეშ, და თითონ ყური მიგდებული აქვს თავის საკუთარ საქმეებზედ, იქ ყოველთვის დაცემულა და გაწირეკებულა ხალხი, სადაც ხალხი თვითონ ყოფილა თავის საქმეების თაოსანი და საქმის მზრუნველი, იქ ხალხი ყოველთვის ყოფილა დაწინაურებული და წარმატებაში.

თქმა აღარ უნდა, რომ მინამ ეს არ შეგვიძლიან, მინამ ეს მაინც უნდა, რომ ჩვენი საჭიროება ვაცნობოთ მათ ვისდამიც ჯერ არს და მოვთხოვოთ შეგვისრულონ ისა, რაც საჭიროებაა.

ამისგამო სასარგებლოთ სასოფლო მეურნეობის წარმატებისა, იმდენათ მაინც, რამდენათ ეხლანდელს მდგომარეობაში შესაძლებელია, აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ადმინისტრაცია, ესე იგი, მმართებლობა გაერიოს ამ საქმეში და მოახდინოს რამდენიმე ცვლილება და დაწესება. ეს ცვლილება და წესები ესენი არიან 1) დაიმართოს სასოფლო სასწავლებლები *) და შეძლების დაგვარად ალაგ ალაგ მაინც ისეთები, სადაც ასწავლიდნენ სასოფლო მეურნეობას წიგნით თუ ჩვენებით (თეორიულათ და პრაკტიკულათ);

2) დაიმართოს ალაგ ალაგ სამეურნეო სახელოსნო, სადაც ეგრეთვე ასწავლიდნენ წიგნს, რომელნიც უხსნიდნენ ამ მხრივ იმათ გონებას.

3) დასაცველათ ტყეთა დაიდვას კანონი, რომ ვინც ახლად დაიწყოს შენობა, ჯერ ერთი ეს ყველამ გაიკეთოს სახლი ალიზისა, რომელზედაც არ იხარჯება ტყე და არც სხვაფრივ უნდა დიდი ხარჯი; მეორეც ეს სახლი იყვეს ფანჯრებიანი, უერდოვო; მესამეც ეს— სახლს ჰქონდეს ფეხი, რომელიც იხურებოდეს; მეოთხეც ეს აეკრძალოს თონეები, რომელნიც ჰთქმენ მეტათ ბევრს ტყეს, აძლევენ ცხობაში ზარალს კუტებით, და აუძლურებენ თვით პურის მცხობელთაც: პური აცხონ ფეჩებშივე. ფეჩებს ჰქონდეს დასახურავები. რასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს—არ აეკრძალოს ალიზის სახლის მაგივრათ ქვითკირისა, ოღონდ სახლი ნუ იქნება ხისა, რომელიც მეტათ აზარალებს ტყესა. აეკრძალოს ხის შენობა, გარდა რომელთამე აუცილებელთა საჭიროებათა.

4) დასაცველადვე ტყეტა და მდინარეთა, რათგან ტყის კერძო პატრონნი ვერასოდეს ვერ შესძლებენ წესიერათ ტყის დაცვას სასარგებლოთ თვით ტყისა და მთლათ მხარისა, რომელმანც უნდა იცხოვროს ამ ტყითა და მის მადლითა, ყველა კერძო ტყეები დაიდვას სახასოთ და გადვიდეს ტყეთა სამმართველო უწყებაში. მეპატრონეთა მიეცით ამაში ფასი, რომელიც გამოერთვას მხარეს, წვრილ-წვრილათ მხოლოდ მხარეს მიეცეს ნება რომ მუქთათ ახმაროს ტყე შინ სახმარებლათ. მხოლოდ

---

*) აქ კიდევ არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ მეცადინეობა ი. ქრ—მე მამაცაშვილისა, რომელიც ყოველის ღონისძიებით ცდილობდა სოფლებში სასწავლებლების დარდგენას და ზოგან კიდეც დაარდგინა გორის უეზდში, მაგრამ ჯერ ერთი ეს, რაკი არ იყო საკმაო ღონისძიება, ვერ მოვიდა იმ სისრულეში, რომელიც იმასა ჰსურდა მიეცა სასწავლებლებისათვის, და მეორეც ეს, რაკი სხვა და სხვა მიზეზისაგამო მოისპო იმისი განვენა, ეს დარდგენილი შკოლებიც გაჰქრნენ.

გასასყიდში ერთვას ხარჯი, სასარგებლოთ ტყეთა მმართველობისა.

5) სივიწროვის გასაფართოვებლათ სოფლებში აღკრძალოთ სამკურნალო წესით რაც სივრცეა საჭირო, იმ სივრცეზედ მცხოვრებთ ერთმანერთზედ ახლო დგომა და მახლობლათ იმ შენობათა კეთება, რომელნიც ჰვნებენ ხალხის სისაღეს. რომელთაც არა ჰქონდეთ იმდენი მამული, რომ სადგომათ ეყოთ ერთმანერთზედ ამ წესით მოშორებითა და არცა ჰქონდეთ შეძლება სხვათაგან ამის შეძენისა, მაშინ მიეცეთ ამათ ან სახელმწიფო და საეკლესიო მამულთაგან, სადაც ეს მამულები არიან; თუ არა და ამგვარ გაჭირვებულთათვის დაიდოს კანონათ, რომ სოფელმა შეიძინოს ერთობრივ სადგომათ ადგილები იმ პირთაგან, რომელთაც ამ სოფელში, ან მახლობლათ აქვთ სხვებზედ მეტი მამული და ამ მამულში სოფელმა მისცეს ამ პატრონთ ერთხელ და ერთხელ ტაქსით სოფელ სოფელ დადებული ფასი. ყველა ამ მამულზედ დამდგარს თავის სადგომი მამულის ფასი გამოერთვას წვრილ წვრილათ, შეძლების დაგვარათ.

6) თუ შეიძლება ერთბაშათ, თუ არა და ცოტ ცოტათი მაინც ეცადნენ, რომ მამულები სოფლებში შეიქნეს საზოგადო სასოფლო საკუთრებათ, როგორც არის ეს რუსეთში. მხოლოდ დაყოფის დროს შემუშავებული მამულები დაიყონ შემმუშავებელთა. ვენახები ორმოცდაათ წლამდის ეჭიროთ გამშენებლებთა და შემდეგ დაიყოს შეფარდებით ვენახის პატრონებს შორის: კარგი ვენახები კარგის შემმუშავებლებს და ცუდი—ცუდი შემმუშავებლებს შორის. ამგვარი ხნიერება და შერჩევით დაყოფა არ დაუკარგავს მუშას ვენახისა და მამულის გაკეთების ხალისსა. ამგვარათ საზოგადოთ მამულების დადება, სხვა სიკეთეთა შორის, უშველის იმ საშინელს სივიწროვესაც, რომელსაც ეხლა ითმენს სოფლის ხალხი.

7) რამდენსამე სოფელზედ დაწესდეს თითო საქონელთა ნასწავლი მკურნალი.

8) გაიმართოს მასწავლებელთა სემინარიები (учительская семинарія) სხვა და სხვა საქართველოს ადგილებში, როგორც ამგვართა ქმნათა დასაზრდელი სასწავლებლისათვის, ეგრეთვე სხვარიგი სამეურნეო სასწავლებლისათვის.

მართალია, ბევრს ეს მოთხოვილება და ცვლილება ეჩვენება ახირებულ საქმეთ. მაგრამ ვინც კარგათ დააკვირდება იმ ფაქტთა და გარემოებათა, რომელნიც მე აქ წარმოვადგინე, ყველა დამერწმუნება, რომ ეს ცვლილებანი და დაწესებანი არიან აუცილებელი საჭიროებანი, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა, ჩვენი მდგომარეობა სრულს უკანასკნელობას და განწირულებას არ მიეცეს.

ვისაც შეუძლიან შორს გახედვა და დანახვა იმ მოვლინებათა, რომელიც მოსდევს ესლანდელს მდგომარეობას, ის არამცთუ დაგვეთანხმება ამ ცვლილებათა საჭიროებაში, არამედ ჰპოვებს, რომ უამისოთ ჩვენი საბოლოვო ცუდი სანახავი და უიმედო რამ არის.

ა. ფ.

---

## საყველო ამხანაგობაზედ ჩვენში.

ამ დღეებში უფალმა ნესტორ ახვლედიანმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შეყრილობაში წარმოადგინა აზრი ჩვენში ყველის მკეთებელთა საზოგადოთ თეთრეულის მოვლის ამხანაგობის გავრცელებას და გაუმჯობესობის საჭიროებაზედ. საბუთნი, რომელნიც უფ. ახვლედიანმა წარმოადგინა, ცხადი მისაღები და შესაწყნარნი იყვნენ ჩვენი სამეურნეო საზოგადოებისათვის. უფ. ახვლედიანმა, რომელიც, როგორცვიცით, არის ამ ხელობის შესასწავლებლათ ნამყოფი რუსეთში განთქმულს მეყველეთ ამხანაგობის გავრცელებით უფ. ვერეშჩაგინთან, მოიხსენია პირველათ რომ უეჭველი საჭიროება მოითხოვს, რომ ჩვენი მხარის სასარგებლოთ წავიდეს წარმატებაში შინაურთ პირუტყვთა გამრავლება და გაუმჯობესობა, ურომლისოთაც შეუძლებელია წარმატება ხვნა-თესვის თუ სხვაფერევ მიწის მოსავლის მოყვანისა, რადგან, ჯერ ერთი ესა, რომ უსაქონლოთ ეს საქმე არ შესრულდება, მეორეც ესა, რომ თუ არ საქონლის პატივი, სხვა პატივი ვერ ჩადის ამოდნობას, რადგან არ არის არც იმათი მოპოვების ღონე, არც გამრავლებისა და სხვა. ამის შემდეგ ის გადადის საყველო ამხანაგობისა და სხვა თეთრეულთა მოვლის ამხანაგებაების საჭიროებაზედ ჩვენს მხარეში.

საყველო ამხანაგობაზედ „გუთნის დედა“ ვალად ჰრაცხს სთქვას რამდენიმე სიტყვა.

საყველო ამხანაგობანი არსად არ არიან ისე გავრცელებულნი, როგორც შვეიცარიაში, რომელიც თავის ბევრი ბუნებითი გარემოებაებით ძალიან მოაგავს ჩვენს მხარეს. შვეიცარიიდამ გაჰქონდათ და გააქვთ კიდევაც ბევრს მხარეს ყველი, მეტადრე იქ, სადაც ყველის კეთება არ იციოდნენ, მაგალითათ როგორც რუსეთში და სხ. ამ შვეიცარიელ ყველს ჰქონდა გასავალი დიდი იმიტომ, რომ ეს და თითო ოროლა სხვა ადგილები იყვნენ უმეტეს სხვა ქვეყნებისა ყველის მადნები. რაკი ჰნახეს სხვა ქვეყნებში, რომ ყველი დიდ ხელს აძლევდა შვეიცარიას და უმეტეს ამხანაგობათა დაწესებით წავიდა იქ მეყველობა წარმატებაში, მაშინ სხვა ქვეყნებმაც დაუწყეს ამათ ბაძვა და დამართეს მრავალი მეყველეთა ამხანაგობანი. ამ სასწაულმა მიაღწია რუსეთამდინაც. უფ. ვერეშჩაგინი საგანგებოთ წავიდა ამ ხელობის შესასწავლებლათ შვეიცარიას და სხვა ქვეყნებში, დაბრუნდა და, შემდეგ დიდის მეცადინეობისა, ცოტ-ცოტათი დააწესა მეყველეთა საზოგადოებანი, ასწავლა ყველის კეთება და ახლა ამგვარი ამხანაგობანი არიან კარგა ბლომათ გავრცელებულნი რუსეთში. რამდენიც რუსეთში გავრცელდა ყველის კეთება, იმდენი, რაღა თქმა უნდა, რომ იკლო შვეიცარიიდამ და სხვა ყველის მადნის ქვეყნებიდამ ყველის გამოტანამ. როგორც რუსეთმა ყველის კეთების სწავლით, ეგრეთვე სხვა ქვეყნებმაც ამის სწავლით და ამხანაგობის გავრცელებით, შვეიცარიას და სხვა ამგვარს ქვეყნებს მოაკლდათ მუშტარნი. აქედამ თან და თან იმგვარი წესი დგება, რომ

სხვა ქვეყნებიდამ შემოტანა ყველისა აღარ არის ისეთი საჭიროება და ყველა ქვეყანა იმზადებს თავისთვის ყველს, იმდონათ მაინც არის, რამდენათაც ამ ქვეყანას აძლევს ნებას თავის საქონლისა და იალაღების სიმრავლე. მაშასადამე, ის ქვეყნები, რომელნიც თავის იალაღებისაგამო იგებდნენ ყველის კეთებით ბევრს და იმედობდნენ მომავალშიც მოგებას, ვეღარ ჰნახვენ იმგვარს მოგებას. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ, ესე იგი მთისა და ბარის იალაღებით, ჰგავს შვეიცარიას, მხოლოდ სრულიად არა ჰგავს თავის სწავლით, განათლებით, გზებით და მაზრით, რომელნიც არიან უმთავრესნი ყველა ხალხის ყველა ხელობის წარმატებისათვის. მაშასადამე, უმაზრობისა და უგზობისგამო, არ ექნება იმოდენა გასავალი და არ ეყოლება მუშტარიც როგორც შვეიცარიას და სხვა ამგვართა ქვეყნებსა. მხმარებლათ ამ ყველთა დავრჩებით მარტო ჩვენ და ცოტა რამ უცხო მხარენი.

აქედამ მაინც მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ არ გვიჭირს ამხანაგობანი და კარგი ყველის გაკეთების სწავლა. ჩვენ აქ გვინდა უჩვენოთ მკითხველს ცუდი და კარგი მხარე რომ ისე არ მოგვივიდეს, რომ მცირისაგან ზვავი ავაშენოთ და შემდეგ რაკი არ დადგეს ზვავი, მცირეც აღარაფრათ გვეჩვენოს. ყველა ხალხს, რომელიც ახალს საქმეს ხელსა ჰკიდებს, უფრო იმიტომა რჩება უკანა და ჰკარგავს იმედსა ყველა ახალ წყობილებაზედ, რომ პირველ ახალ საქმეს ისე აქებენ, ისე აუწერენ, რომ ყოველს მის ნაკლულევანებას უფარამენ და ხალხს აღუთქმენ ამ საქმით საუკუნოთ გაკეთებასა. რაკი ხალხს ეს თავისი და სხვა უხეირო საქმის დამწყობების შემწეობით გაზვიადებული აზრი არ უსრულდებათ, ჰკარგვენ სრულიად იმედსა და შემდეგ სხვა კარგს საქმესაც აღარ ენდობიან, ამის გამო, რაც კაცი უფრო მომზადებულია და აწონვით მოჰკიდებს ხელს საქმესა, იმდენი სჯობიან. ამ მიზეზით გვინდა ჩვენ გავაცნოთ ეს მეყველეთა ამხანაგობა ყოველმხრივ, რომ შემდეგ ჩვენი ხალხის თვალში ამის სიკეთემ არ დაჰკარგოს ღირსება.

ზემოთ ვსთქვით, რომ ჩვენ დიდს გასავალს არ უნდა ველოდეთ ყველისას ჩვენი ქვეყნიდამ, რათგან სხვაგან ყველგან დაუწყეს ამას კეთება და თან და თან უფრო და უფრო ვრცელდება.

ბოლოსა და ბოლოს ამ მეყველეთა ამხანაგობაების გავრცელებაზედაც დაიწყო უფრო სხვაფრივე საჩივარი. აი მაგალითათ რა გვესმის შვეიცარიიდამ. მეყველეთა ამხანაგობა აკლებს ღარიბს გაჭირვებულს ხალხს ერთ უუსაჭიროესს საზრდოს—რძეს, რომელიც აძლევდა იმათ და მათ შვილებს სისაღეს. რაკი რძე მოაკლდათ ამათ, ეტანებიან არაყს რომელსაც ყიდულობენ იმ ფულით, რომელსაც იღებენ ამხანაგობიდამ ამ რძეში. ამგვარმა გარემოებამ იქამდის მიაღწია, რომ დიდს ფიქრში არიან შვეიცარიაში: რარიგ უპატრონონ ამგვარს მეყველეთა ამხანაგობაების გავლენას ღარიბს საწყალს ხალხზედ. ზოგან გადაწყვიტეს, რომ სხვა მოწყალების მაგივრათ ამგვართა ღარიბთა ემლიოთ მოწყალებათ რძე, რომ მათ შვილებს ის დაკლებული დონე, რომელიც წართმევიათ უძღოთ და შემომლისაგამოც წასტანებიან ესენი არაყს.

ამგვარსავე აზრზედ დადგა ერთი გამოჩენილი ქიმიკოსთაგანი რუსეთში ენგელგარტი, რაც რუსეთში დაიწყო მეყველეთა ამხანაგობათ გავრცელება, ის უგდებდა იმ ადგილებში ყურს და შეჰნიშნა, რომ ამ ადგილებში, ამხანაგობათა დაწყების შემდგომ, ბავშვებმა დაიწყეს ავათმყოფობა, დაეკარგათ ფერი, შეიქნენ უსიცოცხლო და უძლურნი, როდესაც რომა მათივე მეზობელნი, სადაც ეს ამხანაგობა არ იყო, იყვნენ საღნი, ცოცხალნი, გაჰქონდათ წითლათ ლაყუჯი. მიზეზი ამისი აღმოჩნდა ისა, რომ ფულის სიხარბის გამო, მან რძეს აღარა ჰხმარობდნენ და გაჰქონდათ მთელი წველა სულ ამხანაგობაში, საიდამაც ეძლეოდით კარგი ფასი წველაში.

ეს ცუდი მხარენი არიან ადვილი ასაცდენი თუ მოვიქცევით რიგსა და წესზედ.

თქმა აღარ უნდა, რომ იმის აცდენა შეუძლებელია, რომ სხვა ქვეყნებში ყველი არ აკეთონ და ჩვენსას წაეტანონ, მაგრამ ამის შესუმბუქება ამითი შეიძლება, რომ ნაცადი გვაქვს, რომ ჩვენი მთისთანა გემრიელი არც შინაური პირუტყვი და არც წველა ძვირათ თუ სადმე იცის. მაგალითათ რუსეთელი ცხვარი ძვირათ თუ საჭმელათ იხმარება, ისაც დაბალს ხალხში, თხა ხომ ისეთი მყრალია, რომ დაბალი ხალხიც მნელათ სჭამს. ჩვენი ცხვარი და თხა სულ სხვაა. არამც თუ ცხვარი, თხაც კი ჩვენებური სჯობია იქაურს ცხვარსა. ძვირათ თუ სადმე ჩვენი ქვეყნის გარდა ჰხმარობენ ცხვრის რძეს ყველათა, როდესაც ჩვენ სხვა ყველი არ ვიცით, თუ არ ცხვრისა, რომელიც არ შეიძლება, რომ კაცმა სთქვას არ კარგაო: ჯერ ამ უხეირო კეთების დროს, იმის გემო გამოფენაებში ძალიან მოიწონეს. ამისგამო ჩვენ თუ გავსწავლეთ კარგათ ყველების კეთება, ჩვენ ყველს მაინც ექნება დიდი გასავალი ჩვენს ქვეყნებს გარეთა, რათგან გემოთი ამან უნდა აჯობოს ბევრს სხვებსა. ამისი გემოვნება მიიზიდავს ბევრს ხალხსა. მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ჩვენს ყველს მიეცეს გზა და ჰქონდეს გასავალი, ჩვენ უეჭველათ უნდა ვეცადნოთ ამ ხელობის სწავლას იმ წესით, რა წესითაც გაუმჯობესდება იგი. ამისგამო უფ. ახვლედიანის დაწყობილებას ამ მხრივ მიუძღვის დიდი სიკეთე, რო ის გაავრცელებს მეყველეობის ცოდნას ჩვენს ხალხში.

რაც შეეხება ამხანაგობაების დაწყობილებას იმ წესით, როგორც დღეს ჩვენში დაიწყო უფ. ახვლედიანმა, ჯერობით ამგვარათ დაწყობა, მეტადრე იმისთვის ამ ჩვენს გარემოებაში, უეჭველი იყო, რათგან ამას უნდოდა შეძლება, ფული, იარაღები და სხვა, რომელთაც შეძენა ჩვენი დაბალი ხალხისაგან, რომელთათვისაც არის საჭირო ამხანაგობათა შედგენა, შეუძლებელიყო და თვით ნდობაც არა ჰქონდათ ამათში. რაკი აქ დაიწყობა საქმე და კარგათ წავა, ისწავლიან ხელო-

ბას დაბალი ხალხი და მიჰხვდებიან მის სარგებლობას, მაშინ ახვლედიანის ვალი არის რომ დაბალს და შეიწრებულს ხალხს დაეხმაროს ამხანაგობის შედგენასა, რადგან დიდკაცების ამხანაგობას აღარ ექნება საზოგადო სარგებლობის მნიშვნელობა, იმიტომ რომ მათი ნაწარმოები მხოლოდ მოუკლებს ფასს ღარიბი და გაჭირვებული ხალხის ნაწარმოებს.

ამასთან, ჩვენის აზრით, არ იქნება ურიგო რომ უფ. ახვლედიანმა მიაქციოს ერთს გარემოებას ყური. მთელს ევროპაში სულ თითქმის ერთრიგი ყველი კეთდება, რომელიც ბევრით ერთმანერთში არ გაირჩევიან და მის კეთებას ყველგან მისდევენ და იციან. ჩვენებური ყველი კეთდება მარტო ჩვენში, და ეს ყველი, როგორც ზემოთაც ვსთქვი, ცოტა არ იყო რომ მოიწონეს გამოფენაებში. ამისგამო, ვფიქრობთ, რომ ამ ყველს უფრო დიდი გასავალი ექნება ჩვენს ქვეყნებს გარეთა, ვიდრემ ჩვენში ევროპულათ გაკეთებულს ყველსა, თუ ეს ყველი გაკეთდება უფრო სუბრთათა, რიგიანს ფორმებში და სხვა. ამისგამო, ურიგო არ იქნება, რომ უფ. ახვლედიანი ეცადოს ამ ყველის გაუმჯობესობას და სიკეთეს მიღებას, მხოლოდ არ წაამსგავსოს ეს ევროპულებს და დაუცვას თვის საკუთარი გემოვნება და ხასიათი. თქმა აღარ უნდა, რომ ევროპიული ყველების კეთება ჩვენში ამითი არ უნდა მოისპოს, რადგან მისი მოთხოვნილება ჩვენშიაც არის, და იქნება, თუ ისწავლეს კარგათ მის ხელი, თვის უფრო კარგის გემოვნობის გამო, რომელიც იმედია, რომ მიეცეს ჩვენი მთის ბალახის სინოყივრისაგამო, იმასაც ექნება კარგი გასავალი სხვა ქვეყნებში.

რაც შეეხება იმას, რომ ამხანაგობაებმა მოაკლეს საწყალს ხალხს სახლში, წველა, რომლისაგამოც თვით პატრონთაც და იმათმა ბავშვებმაც დაიწყეს ავათმყოფობა, ამისთვის უნდა მიჰმართოს ყოველმა ამხანაგობამ შემდეგს ღონისძიებას. უნდა შეიტანოს უსტავში, რომ ამხანაგობა ფულის მაგივრათ აძლევდეს ან მომზადებულს თავის ნაწარმოებს, მაგალითათ ყველს, ერბოს და სხ., ან მიიღოს ისინი ამხანაგობაში, რომელნიც გარდა საამხანაგოთ სახმარი მოწველისა, იყოლიებენ საშინაოთ სხვა მწველელსაც, რომ მით გაუძღვეს სახლობას. თუ არა და უამისოთ არ მიიღოს ამხანაგობაში.

აი ეს არის ჩვენი აზრი მეყველეთა ამხანაგობაზედ. ამას მოსდევს ჩვენი მხარისთვის კარგი სარგებლობა, თუ კარგათ და საბუთიანათ დავიწყებთ საქმეს, რადგან ჩვენი იალაღების გამო, ჩვენ დიდი სიმარჯვე გვაქვს საქონლის გამრავლებისა, გაუმჯობესებისა, წველა დღვებისა და ყველის უხვათ გავრცელებისა. ერთის სიტყვით ერთი უპირველესი მნიშვნელობათაგანი აქვს ამას ჩვენს მეურნეობაში.

უფ. ახვლედიანის დაწყობილება იქნება ჩვენთვის სასწავლებელი რიგიანათ ყველის კეთების სწავლისა, თუ წავა ეს დაწყობილება რიგიანათა, რომელიც სხვათა შორის არის დამოკიდებული ღონისძიებაზედაც. ამის გამო სასურველია, რომ ამ საქმის წარმატებისთვის მისცეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ შემწეობა, რომელს სთხოვდა იმას უფ. ახვლედიანი.

---

## პროტოკოლები კავკასიის სამეურნე საზოგადოების

7 თებერვალს 1873 წელს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სოვეტის შეერთობის პროტოკოლში არის სხვათა შორის შეტანილი შემდეგი. ამ საზოგადოების პრეზიდენტმა, განერალ ასტაფიევმა მოითხოვა, რომ რადგან საკუთრათ არის კომმისია დან შნული, რომელმაც უნდა კარგათ გამოიკვლიოს ღონისძიებანი საქონ ლის ჭირის მოსავლელათ, არ იქნება ურიგო, რომ ამავე კომმისია შეიმუშაოს ის პროექტი, რომელიც წინათ წარმოუდგინა ვეტერინარ მკურნალს (საქონელთა სნეულების ნასწავლი ექიმი) პაშკევიჩს, ა პროექტით უნდა დაწესდეს კავკასიის აქეთ რომელსამე მხარეს საქონ ლის სამკურნალო სასწავლებელი.

სოვეტმა მიიღო ეს აზრი და გადასწყვიტა, რომ ხსენებულ კომმისიას მიენდოს ამ პროექტის შემუშავებაც.

14 მარტს 1872 წ. ამავე სოვეტის შეერთობის პროტოკოლ შია შემდეგი ცნობა შეტანილი. ამ საზოგადოების ნანდვილს წევრ მეცნიერს მებაღეს შერერს ჰქონდა მინდობილი, რომ ეცადნა დო ტორის ზუბალოვის მოგონილი წამალი, რომლითაც ის არჩენს ყურ ძნის სნეულებას, (რომელსაც ჩვენში ვეძახით ყურძნის ნაცარსა) ა ცდის უკან ის აცნობებს სოვეტს, რომ იმას უცდია ეს წამალი თბი ლისის ბოტანიკურს ბაღში, მთავარმართებლის სასახლის ბაღში, კუკიაშ ბელიაევის ბაღში და სოლოლაკზედ, ფრანგების სასათვლაოს მახლო ბლათ მეორეს ბაღში. ეს სხვა და სხვა ადგილას და სხვა და სხვ გარემოებაში მეოთხე ბაღებში გაგებ უცდია, რომ ყველგან იმოქმედებ თუ არა ეს წამალიო. ამ შერერის სიტყვით ამ წამალს ყველგან თა ნასწორ კარგათ გაუჭრია, ეს წამალი ერთი მოხვედრით სრულია თურმე არჩენს იმ ვაზთა, რომელთაც მტევანზედ აქვთ მხოლოდ ოდნა ნაცრის ფრათ შეერილი სნეულება; უკეთუ ეს სნეულება ჩაშავდა მტე ვანსა და ფოთოლზედ, მაშინ ერთი ხელი წამლობა ისე კარგათ აღარ ჭრგებს, და როგორც ჰფიქრობს შერერი, რამდენჯერმე თუ გაუკეთ ეს წამალი, იქნება მაშინ ამგვარად გამჯდარი სნეულებადამაც სრულიად გაანთავისუფლოს ვაზი.

რადგან უფ. ზუბალოვი დიდს ფასსა თხოულობს, რომ გამოუცხადოს, რა ნივთიერებიდამაც არის შეზავებული ამისი ყურძნის სნეულების წამალი, და რადგან კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას არა აქვს იმდენი ღონისძიება, რომ მისცეს ზუბალოვს და გამოაცხადოს ეს წამალი, ამის გამო სოვეტს გადუწყვეტია, რომ შეეკითხო რუსეთის სამხრეთის სამეურნეო საზოგადოებას, ხომ არ მიიღებს ი

მონაწილეობას, რომ მისცენ ზოგი ფული ამათ და გამოაცხადებინონ ზუბალოვს თავის წამლის შემაზავებელი ნივთეულებანი.

## თურქულისა წამალი.

რათგან საქონლისა თუ თხა—ცხვარის თურქული პირსა და ჩლიქებში მეტათ დიდს ზარალს აძლევს პატრონებსა, ამის გამო ჩვენ მივცემთ ყურადღებას ჩვენი თხა—ცხვარისა და საქონლის პატრონისას ამ წამალზედ, რომელიც არც ძნელია და ნაცადიც არის, რომ არ წაუვა ამას თურქული. ეს წამალი ერთგვარე ძალიან კარგია ისე წყლულებისათვის, ბედნიერისათვის, დაჭრილობისათვის და სხვა. მაგრამ განსაკუთრებით თურქულს სრულიად არჩენს. ეს წამალი უნდა შეაზავო ამგვარათ. უნდა აიღო ერთი გირვანქა შაბიამანი, ერთი გირვანქა ნიშადური, ერთი გირვანქა გლაუბერის მარილი, ერთი გირვანქა გვარჯილა, გირვანქის მეოთხედი ყანგარო და გირვანქის მეოთხედი შაბი. უნდა ურიო ესენი წყალში და ჩაასხა სუბრთა ქოთანში. მერე უნდა შემოსდგა ცეცხლზედ და იმდენს ხანს უნდა ჰხარშო, მინამ ეს ნახარში არ დაიწყებს დიდი ბურთების კეთებას. მერე უნდა გადმოდგას ქოთანი, გადმოასხას ეს წამალი დიდს ქაშანურის თეფშზედ ან სხვა რაზედმე და გააცივოს. მერე ეს წამალი უნდა შეინახოს მშრალს ადგილს და ისე გამაგრდება, როგორც ქვა. რამდენი წელიწადიც უნდა გავიდეს, ეს წამალი ინახება და არა ჰკარგავს თავის ძალას.

როდესაც გაჩნდება თურქული, მაშინ ამას უნდა მოსტეხოს ერთი კაკლისა ანუ ბერძნული თხილის ოდენა და გახსნას ერთ ჯამს თბილს წყალში. მერე უნდა მიჰყვეს, და ბრთით, ან რამე ამისთვის საგანგებოთ გაკეთებული კისტით უსვას პირსა და ჩლიქებზედ მტკივანს ადგილებში დღეში ორჯერ სამჯერ. ამგვარათვე უნდა უწამლოს ჭრილობასა, წყლულებსა, მუწუკებსა და სხვა ამგვართა. ეს წამალი არის დაუცადი.

---

## ლათინურ—რუსულ—ქართული ბოტანიკური ლექსიკონი თ. რაფიელ ერისთავისაგან შემდგარი.

დიდი ხანია ჩვენი ქართული მწერლობა ჰსაჭიროებს ამგვარს ლექსიკონსა, მაგრამ ჩვენ ყველანი უფრო იმას ვეჭიდებით, რაც უფრო ადვილია და სალაზღანდარო, ვიდრემ სამკვიდრო და სამძიმო. ჩვენ ნამდვილი სარგებლობა ენისა, მწერლობისა, ხალხისა დავივიწყეთ, და პირადი ჩვენი თავმოყვარეობა გადმერთეთ და გავხადეთ [illegible] სალაპარაკოთ. ამისგამო ჩვენი მწერლობაც გადიქცა პირად მესაქცევე და სალაზღანდარო ყბედობათ და უხეირო ოხუნჯობათ. ლანძღვა შეიქნა საბუთი, და კინკლაობა პირადობაზედ გადიქცა—საქვეყნო ინტერესად. ჩვენი მწერლობა დღეს უკეთესს არას წარმოადგენს, ნამდვილი საქმე და ხალხის სარგებლობა ამოიდო პირად თავმოყვარების ფარდის ქვეშ.

როდესაც ჩვენი დროგამოშვებითი მწერლობა არის ამ საძაგელი მოვლინებით მოცული, როდესაც საზოგადო ინტერესი შეიქნა თელვილი ამ მწერლობისაგან, როდესაც ბეზღობა, ცილი პირად სარგებლობისათვის, ჩირქისა და ტალახის ზელა სასროლველად მცირეც არის სასარგებლო მომქმედ პირთა ყოვლად თავზედ ხელაღებულ პირთაგან, რომელთაც შენთხვევით და გაიძვერაობით ჩავარდნიათ დროგამოშვებითი ჩვენი მწერლობა, ამ დროს არიან ჩვენში პირნი, რომელნიც ჩუმათ, უყვირლათ, უანგაროთ, თავის ქვეყნის გულის ტკივილით შესდგომიან საქმეს, და, შეძლების დაგვარათ, ცდილობენ მოუტანონ ჩვენს დავიწყებულს და დაჩაგრულს ქვეყანას სარგებლობა. ერთ ამგვარს პირთაგანს ეკუთვნის თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავი, ავტორი «სადისჯორისა».

ჩვენ არას ვიტყვით მის ოცის თუ მეტის წლის ლიტერატურულს შრომაზედ, სადაც ის ავათ იყო თუ კარგათ არა სცხრებოდა და ცდილობდა მეტანა რაც ამის ხელთ იყო სარგებლობა თავის ქვეყნისათვის; არას ვიტყვით ამაზედ მისთვის, რომ ეს არ შეეხება პროგრამმას ჩვენი გაზეთისას და არც ამის მიმართულებას. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ამის ბოტანიკურს ლექსიკონზედ, რომელიც არის დაბეჭდილი 1, 2, 3 და 4 № Запискахъ Кавказск. Общ. Сельскаго хозяйства„, რომ ამ ლექსიკონით იმან მოუტანა ნამდვილი სარგებლობა ჩვენს ენას და მეტადრე ჩვენს მწერლობას.

რამდენჯერ ყველა ჩვენგანი, ვისაც კი შეჰხვედრია რამე ამგვარი მეცნიერებიდამ თარგმანი, გაჩერებულა თითო მცენარეზედ, უძებნია ჩუბინოვში, უძებნია თითონ თავის თავში, უკითხავს აქეთ იქით, მაგრამ, შენ არ მამიკვდე, ვერ მიუგნია ამ მცენარის ქართული სახელისათვის. არამთუ ბოტანიკური წოდებანი, და ყველა სამეცნიერო წოდებანი ჩვენ თარგმანებში გვაჩერებენ, რათგან ვერსად ვერ ჰპოულობთ წოდებათ იმ ნივთთა და საგანთა, რომლისაც გადმოღებას გვსურების ჩვენ ქართული ენისათვის. ამგვარი ულექსიკონობა აძლევს დიდს დაბრკოლებას ქართულს ენაზედ რამე ბუნებითი სამეცნიერო თხზულებათა და წიგნთა შეთხუზვისა თუ გადმოღებისას. ამგვარი ლექსიკონები მისცემენ დიდს შეღავათს ყოველს ბუნებითი სამეცნიერო საგნების თხუზვა თარგმანებში.

მით უფრო საქებია ეს შრომა, რომ ამ შრომას შესდგომია თ. რაფიელ ერისთავი, ისე კი არა, როგორც ზოგიერთა ჩვენი ლაზ-

დანდარა მწერლები, რომელთაც მწერლის სახელი შეუქმნიათ მით უფრო, რომ სხვაგან ამათ ცოდვნას და ნიჭს მოუხმია საზრდოს შემქნისა და მოქმედების გზა და უნებლიეთ გამოსულან მწერლობის ასპარეზზედ, არამედ შესდგომია როგორც ნამდვილი მცოდნე კაცი, რომელმაც იცის, თუ რა წესით წაიყვანოს საქმე, რომ ეს საქმე არ გამოდგეს უთავბოლო და გამოუსადეგარი. გარდა ამისა, რომ იმას მიუცია წესი და სისტემა, რომელსაც მოითხოვს ნამდვილი ჩვენი მწერლობის საჭიროება, გარდა ამისა, აი რა სიბეჯითით და მკვიდრათ შესდგომია ის ამ საქმეს, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, საჭიროდებოდა საკმაო შრომაცა. თვინიერ ამისა, რომ ამ ლექსიკონის შესარდგენათ იმას უხმარნია ყოველი ღონენი, რომელნიც კი ყოფილან საშოვნელი დაბეჭდილი თუ ხელ ნაწერი წიგნებიდამ, გარდა იმისა, რომ ამ სახელების საძებნელად უხმარნია ერთი საუკეთესო რუსული ბოტანიკური ლექსიკონი, გარდა ამისა, რომ იმას ექექნია ჩვენი კარაბადინები, —იმას მცენარეთა სახელების საპოვნელათ ქართულათ და შესადარებლათ, უხმარია თავთავის ფერით ნახატი მცენარიანი ატლასი (წიგნია, სადაც არიან მხატრობანი), უკითხავს მცენარეთა სახელი მცოდნე და გამოცდილი სოფლის კაცებისა და ექიმთათვის, რომელთათვისაც უჩვენებია როგორც მცენარე, ისე ამ მცენარეთა ნახატი სურათი. ამგვარათ შეუკრებია მცენარეთა წოდებანი, ქართლ კახურს კილოსა, იმერულსა, გურულსა და მეგრულს კილოებზედ. ამგვარათ სახელების შეკრება მით უფრო სასარგებლოა, რომ ზოგი მცენარე, რომელიც ერთს მხარეს მოიპოვება, არ არის სხვაგან და რომელიც მოიპოვება მეორეთგან არ არის მესამედგან. ამას გარდა შეიძლება, რომ ერთი და იმავე მცენარეს სახელი ერთგან რომ გაიგებენ, მეორე და მესამედგან სრულიად ვერ გაიგონ. ამისგამო ვინც იხმარებს ამათ რამე თხზულებისა ან სხვაფრეთ, შეიძლება იხმაროს ყოველს კილოზედ, რომ ყველა საქართველოს მხარის კაცი მიხვდეს, რაზედაც არის ლაპარაკი.

თქმა აღარ უნდა, რომ ამგვარს მკვიდრათ დაწყობილს საქმეს მოხდევს საკმაო შრომაცა, რომელსაც ეგრე მეტათ ერიდებიან ჩვენი ცრუ ლიტერატურები.

მადლობაა ღმერთსა, რომ თითო ოროლა [illegible] კიდევ მოგვეპოვება, რომელნიც ადგანან უანგაროთ ნამდვილ სასარგებლო შრომას, და უყვირლათ, უქაქანოთ აკეთებენ საქვეყნო საქმეს.

ამასთან დიდათ დაგვავალებდა თ. რაფ. ერისთავი, რომ თვით ბოტანიკური ატლასსაც რამე ღონისძიებით, (თქმა აღარ უნდა, რომ ვერ მოვთხოვთ, რომ თვის საკუთარი ღონისძიებით, რათგან ვიცით რომ შეძლება არ აძლევთ ამის ნებას), ან საზოგადო დახმარებით, ან კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შემწეობით გამოეცა თავის დროზედ. ეს იქნებოდა სწორეთ ციური მანნა ჩვენი ენისათვის.

ვნახოთ ახლა მიაგდებს ჩვენი საზოგადოება ყურადღებას იმ თხოვნას, რასაც თ. ერისთავი შეჰღაღადს მცოდნე პირთ თუ არა. ის შესავსებლათ ამ დაბეჭდილის ლექსიკონისა თხოულობს რომ უჩვენონ ნაკლებულება და მიაწოდონ მასალა მის შესავსებლათ. გარდა ამისა ის სხვა ბუნების სამეცნიერო საგნებიდამაც აპირებს ლექსიკონის გამოცემას და თხოულობს ამაშიაც მცოდნე პირთაგან დახმარებას. ვნახოთ რამდენი გამოჩნდება ამგვარს სასარგებლო საქმეში დამხმარებული; და თვით ერისთავისაგან კი იმედი გვაქვს, რომ არ დაჰზოგავს თავის დაუწყნარებელ შრომას და შეგვძლევნის კიდევ ახალს ლექსიკონს სხვა ბუნების საგნებიდამაც, რომელითაც აურაცხელ ვალს დასდებს თავის სამშობლოს და ენის მომავალს.

---

Издан. Кавк. Общ. сел. Хозяйства. ს. მელიქოვის და ამხ. სტამ. რედ. და გამ. აგრონომი ა. ვართანოვი, ა. ფურცელაძე.